სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №385/2019

Digitally signed by NATIONAL FOOD AGENCY
NATIONAL FOOD AGENCY Date: 2019.09.17 11:20:51 +04'00'

ქ. თბილისი

"16" სექტემბერი 2019 წ.

ერთის მხრივ სსიპ ,,სურსათის ეროვნული სააგენტო" (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის ზურაბ ჩეკურაშვილის სახით და მეორეს მხრივ **შპს „ეკა დიზაინი"** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი **დირექტორის ეკატერინე ანჯაფარიძის მინდობილი პირის მიხეილ ჟორჟოლიანის სახით** ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") –„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა მოთხოვნათა საფუძველზე, შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული, მხარეთა მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება, მასში მინიშნებული ყველა თანდართული დოკუმენტით.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთოთანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარულიდღე, კვირა, თვე.

1.4. "მომსახურება" - ხელშეკრულებისმე - 2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ ,,სურსათის ეროვნული სააგენტო''-ს მიერ სამოქალაქო მშენებლობისთვის საჭირო ტექნიკურ პროექტირებასთან დაკავშირებული მომსახურების (CPV71322000) შესყიდვა;

2.2. შესყიდვის ობიექტი გულისხმობს, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სარგებლობაში არსებული **აბაშაში, ჩიქოვანის ქ. N13 არსებული საოფისე შენობის ეზოს ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების პროექტის შედგენას;**

2.3. **პროექტი მოიცავს: არქიტექტურულ - კონსტრუქციულ ნაწილს, ელექტრო ნაწილს, სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვას და მშენებლობის ორგანიზაციის გრაფიკს.**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **300 (სამასი) ლარს.**

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა შესაბამის გადასახადებს.

3.1. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

4. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

4.1. „მიმწოდებელმა", ხელშეკრულებიის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პროექტი და შესაბამისი დოკუმეტაცია, სრულყოფილი და დასრულებული სახით უნდა წარმოუდგინოს „შემსყიდველს" ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;

4.2. შესყიდვის ობიექტი მოწოდებული უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის № 6, სსიპ ,,სურსათის ეროვნული სააგენტო"-ს ადმინისტრაციული შენობა.

5. მიღება - ჩაბარების წესი

5.1. ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე, მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი შესაბამისი ღირებულების ასახვით;

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერენ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

6.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება–უნაღდო;

6.3. ანგარიშსწორება განხორციელდება 5 სამუშაო დღის განმავლობაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და სათანადო საგადახდო დოკუმენტების შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

7.2. „მიმწოდებლის" მიერ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარვეზით შესრულების შემთხვევაში, „შემსყიდველი" უფლებამოსილია მომსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზების გამოსასწორებადა „მიმწოდებელი" ვალდებულია გონივრულ ვადაში გამოასწოროს ყველა კანლოვანება და ხარვეზი, საკუთარი ხარჯებით, შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

7.3. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს გაწეულის მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.4. მიმწოდებელი უფლება მოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

8. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად განახორციელოს მომსახურების მიწოდება;

8.2. იმ შემთხვევაში თუ პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის სათანადო წესით ჩაბარების შემდეგ, შემსყიდველის მიერ, წარმოდგენილი პროექტის საფუძველზე მიმდინარე სამუშაოების წარმოების პროცესში გამოვლინდება პროექტირებისას გაუთვალისწინებელი პირობები, ან გამოვლინდება პროექტირების სხვა სახის ხარვეზი - მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარის სახსრებით გამოასწოროს ყველა ნაკლოვანება და ხარვეზი.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებენ სსიპ ,,სურსათის ეროვნული სააგენტო"-ს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ქონების მართვისა და სამეურნეო სამმართველოს უფროსი პაატა მაისაია და ამავე სამმართველოს უფროსი სპეციალისტი დავით ბაქრაძე;

9.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელიპირ(ებ)ის ფუნქციაა გასაწევი ან/დაგაწეული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

9.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

9.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისთვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.

9.5. ყველა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. გარანტია

„მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ, გაწეული მომსახურება იქნება ხარისხიანი, მომსახურების ამ სფეროში მოქმედი სტანდარტებისა და რეგულაციების შესაბამისი.

11. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

11.1. „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულების პირობების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, „შემსყიდველს“ უფლება აქვს დააკისროს „მიმწოდებელს“ პირგასამტეხლო, არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე;

11.2. ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევის შემთხვევაში, „შემსყიდველს“ უფლება აქვს „მიმწოდებელს“ დააკისროს პირგასამტეხლო ვადაგადაცილებით გაწეული მომსახურების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

11.3. თუ ხელშეკრულების 11.1. და 11.2 პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოების თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%-ს „შემსყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს აღნიშნული ხელშეკრულება;

11.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

11.5. პირგასამტეხლოების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.6. ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ უფლება აქვს დააკისროს „შემსყიდველს“ პირგასამტეხლო ასანაზღაურებელი თანხის 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების/დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების არსებული ჯამური ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით.

12.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ იცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელიმისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

13.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე.

14. დაუძლეველი ძალა

14.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

14.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

14.3. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება მოქმედებს მისი ხელმოწერის მომენტიდან 2019 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

16. სხვა პირობები

16.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ს.ს.ი.პ. „სურსათის ეროვნული სააგენტო“	შპს „ეკა დიზაინი“
ს/კ: 205 142 200 მის: ქ. თბილისი მარშალ გელოვანის გამზ. N6 ტელ: 291 91 67. სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: 220101222 ა/ა – 200122900	პ/ნ 221286301 მის: ქ. წყალტუბო გ. ტაბიძის ქ.№1/25 მომსახურე ბანკი - ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგ. ნომერი: GE55BG0000000333596400GEL Mikheil Zhorzholiani Подписано цифровой подписью: Mikheil Zhorzholiani Дата: 2019.09.16 22:44:03 +04'00'
სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურაშვილი _____	მიმწოდებლის მინდობილი პირი _____ მიხეილ ჟორჟოლიანი

მოამზადა: სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო

შეთანხმებულია: საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი

იურიდიული დეპარტამენტი

ადმინისტრაციული დეპარტამენტი

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ **შპს „ეკა დიზაინი“-ს** მიმართ ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი

იურიდიული დეპარტამენტი

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი

ადმინისტრაციული დეპარტამენტი

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო